EEU- სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი

დამტკიცებულია: უნივერსიტეტის რექტორის 2026 წლის 10 თებერვლის №.05/01-01 ბრძანებით

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ,,სტუდენტთათვის სტიპენდიის გაცემისა და წახალისებების წესი'' (შემდგომში – ,,წესი'') არეგულირებს შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის სტიპენდიის და სხვა სახის წახალისების ღონისძიებების განსაზღვრისა და გაცემის პროცედურებს.
2. წინამდებარე წესის მიზანია სტუდენტთა მოტივაციის გაზრდა, კონკურენტული გარემოს შექმნა, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება და ხელშეწყობა.

მუხლი 2. სტიპენდიისა და წახალისების სახეები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს:
   ა) საუნივერსიტეტო სტიპენდია საბაკალავრო, სამაგისტრო და ერთსაფეხურიანი პროგრამების სტუდენტებისთვის;
   ბ) სასწავლო გრანტი;
   გ) ერთჯერადი ჯილდო და სხვა სახის ინდივიდუალური წახალისებები;
2. საუნივერსიტეტო სტიპენდიას სტუდენტი მოიპოვებს ყოველ სასწავლო წელს მიღწეული შედეგების საფუძველზე. სტიპენდია მოქმედებს ერთი სასწავლო წლის განმავლობაში და განისაზღვრება ჯამში 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით;
3. სასწავლო გრანტი გაიცემა შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე:
   ა) სოციალურად დაუცველ პირებზე;
   ბ) ეთნიკურად ქართველ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე (ლაზები, ფერეიდნელი ქართველები და სხვა);
   გ) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულ პირებზე;
   დ) წარჩინებულ სკოლადამთავრებულებზე (ბაკალავრიატის სტუდენტებზე, რომელსაც სრული ზოგადი განათლება დასრულებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე);
   ე) სხვა ცალკეულ შემთხვევაში რექტორის გადაწყვეტილებით;
4. წარჩინებულ სკოლადამთავრებულთა სასწავლო გრანტი შეადგენს:
   ა) ოქროს მედალოსანი სტუდენტისთვის - სწავლის საფასურის 20% დაფინანსება;
   ბ) ვერცხლის მედალოსანი სტუდენტისთვის - სწავლის საფასურის 10% დაფინანსება;

5. ერთჯერადი ჯილდო გაიცემა სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოჩენილი განსაკუთრებული აქტივობისთვის (უნივერსიტეტის წარმოჩენა სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ კონკურსებში, გამოფენებში, სამეცნიერო კონფერენციებში და ა.შ.)
6. უნივერსიტეტის რექტორი საკუთარი ინიციატივით ან ფაკულტეტის, სტუდენტური თვითმმართველობის დასაბუთებული მიმართვის საფუძველზე ახორციელებს სხვადასხვა სახის ინდივიდუალურ წამახალისებელ ღონისძიებებს, რომლებიც ემსახურება სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესებას და მოტივაციის ზრდას.

მუხლი 3. სტიპენდიის დანიშვნის პროცედურა და შეფასების კრიტერიუმები

1. **საუნივერსიტეტო სტიპენდიით** სტუდენტთა დაფინანსება ხორციელდება სტუდენტის აკადემიური მოსწრების, სტუდენტურ საუნივერსიტეტო აქტივობებში აქტიური მონაწილეობისა და სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში ჩართულობის საფუძველზე;
2. საუნივერსიტეტო სტიპენდია არ გაიცემა:

   ა) სტიპენდიის მიღების სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/ხარისხის მინიჭების შემთხვევაში;

   ბ) წინა სასწავლო წლის გაზაფხულის/შემოდგომის სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

   გ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

   დ) სტუდენტზე, რომელსაც რეგისტრირებული ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამით წლიურად განსაზღვრული კრედიტების რაოდენობაზე ნაკლები კრედიტი;
3. აკადემიური მოსწრება გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა სასწავლო წლის განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამით წლიურად განსაზღვრული კრედიტების სავალდებულო რაოდენობის სასწავლო კურსებში მიღებული ქულების საშუალო შეწონილი ქულით (GPA).
4. საუნივერსიტეტო სტიპენდიის მიღების შესაძლებლობა ამ მუხლის 1-ელი და მე-2 პუნქტების გათვალისწინებით აქვს სტუდენტს, რომლის წლიური **GPA** (საშუალო შეწონილი ქულა) **არის 3,5 და მეტი;** აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის სტუდენტურ საუნივერსიტეტო აქტივობებში მიღებული **მინიმალური შეფასება არის არანაკლებ 6 ქულა;** სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში **მონაწილეობის მიღებული მინიმალური შეფასება არის არანაკლებ 2 ქულა**.

5. აქტივობა, რომელიც განხორციელდება სასწავლო წლის დასრულების შემდგომ და ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე, სტუდენტს ჩაეთვლება წინა სასწავლო წელში განხორციელებულ აქტივობაში მონაწილეობად.
6. საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნისთვის საუნივერსიტეტო და სასწავლო-სამეცნიერო სტუდენტური აქტივობების პრიორიტეტული ჩამონათვალი და მინიჭებული ქულები წარმოდგენილია წინამდებარე წესის დანართი N1-ის სახით;
7. საუნივერსიტეტო და სასწავლო-სამეცნიერო სტუდენტურ აქტივობებში სტუდენტთა ყოველწლიურ აღრიცხვას ახორციელებს შესაბამისი ფაკულტეტი. ფაკულტეტის მიერ დგინდება საუნივერსიტეტო სტიპენდიატის კანდიდატთა სია, რომელსაც განათლების დეპარტამენტი განიხილავს ამ წესის მე-3 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 პუნქტებით განსაზღვრულ კრიტერიუმებთან შესაბამისობაში. სტიპენდიატთა საბოლოო სია მტკიცდება რექტორის ბრძანებით.
8. **სასწავლო გრანტის** მოპოვების მიზნით, მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულმა პირებმა განცხადებით უნდა მიმართონ უნივერსიტეტის რექტორს და წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტაცია. სასწავლო გრანტის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად, ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე რექტორის მიერ ბრძანების გამოცემის გზით;
9. სტუდენტები, რომელთაც სრული ზოგადი განათლება დასრულებული აქვთ ოქროს ან ვერცხლის მედალზე, **წარჩინებულ სკოლადამთავრებულთა სასწავლო გრანტის მოპოვების მიზნით,** რექტორის ბრძანებით პირველკურსელთა ჩარიცხვისთვის განსაზღვრულ რეგისტრაციის ვადაში უნდა წარმოადგინონ უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული სკოლის წარჩინებით (ოქროს ან ვერცხლის მედალზე) დამთავრების დამადასტურებელი დოკუმენტი.
10. ფაკულტეტის მიერ დგინდება წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სასწავლო გრანტოსანთა სია, რომელსაც განათლების დეპარტამენტთან შეთანხმებით წარუდგენს რექტორს.
11. რექტორის ბრძანებით წარჩინებულ სკოლადამთავრებულ სტუდენტებს სასწავლო გრანტი უწესდებათ და უნარჩუნდებათ პროგრამის ხანგრძლივობის ვადით, თუ ყოველ სემესტრში საშუალო შეწონილი ქულა (GPA) უწყვეტად აქვს 3.0 ან მეტი.
12. **ერთჯერადი ჯილდო** მოიპოვება სტუდენტის მიერ საუნივერსიტეტო ცხოვრებაში გამოჩენილი განსაკუთრებული აქტივობისთვის (მაგალითად, უნივერსიტეტის წარმოჩენა სპორტულ, კულტურულ, ინტელექტუალურ კონკურსებში, გამოფენებში, სამეცნიერო

კონფერენციებში და ა.შ.); უნივერსიტეტის რექტორი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ან ფაკულტეტის დასაბუთებული წარდგინების საფუძველზე განსაზღვრავს ერთჯერადი ჯილდოს მიმღებსა და ჯილდოს სახეს.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს, მასში ცვლილებები შეაქვს და ძალადაკარგულად აცხადებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

დანართი №1

საუნივერსიტეტო სტიპენდიის დანიშვნისთვის აქტივობებში მონაწილეობის შეფასების კრიტერიუმები	
ქულა	**აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ საუნივერსიტეტო სტუდენტურ აქტივობებში მონაწილეობა (მინიმალური ზღვარი - 6 ქულა)**
1	ტრენინგ-კურსებში და სასერტიფიკატო კურსებში მონაწილეობა
0,5	საჯარო ლექციებში/სემინარებში/დებატები/ვორქშოპები და მსგავსი სახის საგანმანათლებლო, კულტურულ-სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა
1	შეჯიბრებებში/ოლიმპიადებში და მსგავსი სახის ინტელექტუალურ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება
1	სოციალურ და კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობისკენ მიმართულ აქტივობებში (საქველმოქმედო, ეკოლოგიურ და სხვა აქტივობები) მონაწილეობა
1	სტუდენტური კლუბების, გაერთიანებების, კულტურულ-სპორტული გუნდების წევრობა
ქულა	**სასწავლო-სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობა (მინიმალური ზღვარი - 2 ქულა)**
1	სამეცნიერო კონფერენციაში, სამეცნიერო-პრაქტიკულ ვორქშოპში მონაწილეობა მომხსენებლის სტატუსით
1	უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სეზონურ სკოლებში, გაცვლით პროექტებში, იმიტირებულ პროცესებში/მოდელირებებზე აქტივობებში მონაწილეობა და ნამუშევრების გამოფენა
1	სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნება სამეცნიერო ჟურნალში
1	სტუდენტურ საგრანტო სამეცნიერო-კვლევით პროექტებში გამარჯვება
0,5	აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრობა